ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №653990

ნომერი: AR1125331

თარიღი : 17.04.2013

გაცემის თარიღი : 23.04.2013

გაცნობის თარიღი : 23.04.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გ. წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის გამზირის კუთხეში ფიზკულტურის ინსტიტუტის მიმდებარედ, (ნაკვეთი N 8/50) / ქალაქი თბილისი , გ. წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის გამზირის კუთხეში ფიზკულტურის ინსტიტუტის მიმდებარედ, (ნაკვეთი N 8/49) / ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 49 , (ნაკვეთი 08/088) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით კორძაია პ/ნ 01026008338
- ქ. თბილისი კოსტავას N67 ბ N62

ორგანიზაცია:

- არსი-ვაკე კოდი: 205224210

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 619239
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 1.04.2013

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 2013 წლის 17 აპრილს შემოსული NAR1125331 ელექტრონული განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, გ. წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის გამზირის კუთხეში ფიზკულტურის ინსტიტუტის მიმდებარედ, (ნაკვეთი N 8/50) / ქალაქი თბილისი , გ.

წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის გამზირის კუთხეში ფიზკულტურის ინსტიტუტის მიმდებარედ, (ნაკვეთი N8/49) / ქალაქი თბილისი, გამზირი ილია ჭავჭავაძე, N 49, (ნაკვეთი 08/088), თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.14.07.008/098), მრავალფუნქციური (სავაჭრო, საცხოვრებელი) შენობის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 12 აპრილის Nბ-12/34588-16 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევების წერილობით დადასტურებას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 24.03.09 წ. N57 დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,პ" ქვეპუნქტის თანახმად - "ქ. თბილისში (გარდა V კლასის შენობა-ნაგებობებისა) თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, თუმცა სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და დამკვეთს უარი ეთქვა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე, დამკვეთის მიერ ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოში წარდგენის შემდეგ აღნიშნული ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის გარეშე უკვე განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობასა და მისი დასაშვებობის დადასტურებაზე. ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტისაგან განსხვავებით, ნაწარმოები მშენებლობის დადასტურება ხდება წერილობითი ფორმით.

განხორციელებული მშენებლობის გათვალისწინებით მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს დამატებითი დოკუმენტაცია. დადასტურების წერილი მშენებლობის ნებართვის განუყოფელი ნაწილია და უნდა დაერთოს ამ დადგენილებით განსაზღვრული სამშენებლო დოკუმენტის ყველა ეგზემპლარს;"

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახური ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, გ. წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის გამზირის კუთხეში ფიზკულტურის ინსტიტუტის მიმდებარედ, (ნაკვეთი N 8/50) / ქალაქი თბილისი , გ. წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის გამზირის კუთხეში ფიზკულტურის ინსტიტუტის მიმდებარედ, (ნაკვეთი N8/49) / ქალაქი თბილისი, გამზირი ილია ჭავჭავაძე, N 49, (ნაკვეთი 08/088), თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.14.07.008/098), მრავალფუნქციური (სავაჭრო, საცხოვრებელი) შენობის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 12 აპრილის Nბ-12/34588-16 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებითი მოთხოვნებთან შესაბამისობას და მათ დასაშვებობას ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

წინამდებარე წერილობითი დადასტურება განიხილება პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე სამსახურის 01.04.2013 წ. №619239 ბრძანებასთან ერთად და წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის განუყოფელ ნაწილს.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.